

იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში

*ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად
გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლოები დაურთო
პროფ. გიორგი სოსიაშვილმა*

თბილისი 2013

XIX საუკუნეში კავკასია არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა მოინახულა, რომელთა მიზანს აღნიშნულ რეგიონში არსებული ქვეყნების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, ასევე აქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და კულტურული ყოფის შესწავლა წარმოადგენდა. უცხოელ მოგზაურთაგან ერთ-ერთი საყურადღებო ავტორია წარმოშობით ავსტრიელი ქალბატონი იდა (ლაურა) პფაიფერი, რომელმაც კავკასიაში 1848 წელს იმოგზაურა. ის ჯერ სომხეთში იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ საქართველოში, საიდანაც ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში გაემგზავრა. იდა პფაიფერის დღიურები საინტერესო ცნობებს შეიცავს XIX საუკუნის I ნახევრის კავკასიის შესახებ. ავსტრიელი მოგზაურის ჩანაწერები პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე და ვფიქრობთ, საინტერესო იქნება როგორც მკვლევარებისთვის, ისე ფართო მკითხველისთვისაც.

შესავალი

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის I ნახევარში კავკასია არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა მოინახულა. მოგზაურთა ერთი ნაწილი ევროპიდან რუსეთში მოხვდა და ხშირად მათ ექსპედიციებს კავკასიის ქვეყნებში, საიმპერატორო კარი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. უცხოელი მოგზაურები აღწერდნენ სხვადასხვა ქვეყნების რელიეფს, ფლორას და ფაუნას, მოსახლეობას, მათ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, სოციალურ მდგომარეობას. ხშირ შემთხვევაში, რუსეთის საიმპერატორო კარი უცხოელ მოგზაურებს საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებას ავალებდა, რაც რუსეთს კავკასიის კოლონიურ ათვისებაში ხელს შეუწყობდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც საქართველოში სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა, თუმცა მას საიდუმლო დავალებებიც ჰქონდა, რასაც საიმპერატორო აკადემიისათვის გაგზავნილ

ერთ-ერთ რაპორტშიც აღნიშნავდა.¹ უცხოელ მოგზაურთა ცნობები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, თუ პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რაც ეპოქის ობიექტური სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიაში ნამყოფ მოგზაურთაგან საყურადღებო ავტორია წარმოშობით ავსტრიელი ქალი იდა (ლაურა) პფაიფერი. იგი დაიბადა 1797 წლის 14 ოქტომბერს, ქალაქ ვენაში შეძლებული ვაჭრის - რეიერის ოჯახში. იდა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა დამოუკიდებელი აზროვნებით. ექვსი დედმამიშვილიდან მას განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ, რადგან იგი ერთადერთი ქალიშვილი იყო და ამავდროულად ყველაზე უმცროსი. 10 წლის იდას მამა გარდაეცვალა. გოგონას აღზრდა დედამ იტვირთა. ცამეტი წლის იდას მასწავლებლად იოზეფ ტრიმელი მიუჩინეს, რომელსაც მომავალი მოგზაური თავის დღიურებ-

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 143.

ში ძალზე თბილად იხსენებდა.¹ მოგზაურობის სურვილი იდას ადრეული ასაკიდანვე გაუჩნდა. კითხულობდა მოგზაურობის შესახებ არსებულ ლიტერატურას. მცირე ხანში იდას და მის ყოფილ მასწავლებელს შორის რომანი გაიბა, რასაც იდას დედა წინააღმდეგობას უწევდა. დედამ პირობა წაუყენა ქალიშვილს, რომ ცოლად გაჰყოლოდა დოქტორ ანტონ პფაიფერს - ქვრივ მამაკაცს, რომელსაც შვილიც ჰყავდა. დოქტორი პფაიფერი მდიდარი ადვოკატი იყო და ქალაქ ლემბერგში ცხოვრობდა. თუმცა იმ დროისათვის ვენაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. იგი 24 წლით უფროსი იყო იდაზე. ადვოკატი ძალზე მოხიბლა ახალგაზრდა ქალმა და მათი ქორწინება 1820 წლის 1 მაისს შედგა. იდას ქმარი არ უყვარდა, მაგრამ ამის მიუხედავად მეუღლეს მაინც პატივს სცემდა. მალე დოქტორმა პფაიფერმა სამსახური დაკარგა (ავსტრიელ მაღალჩინოსნებთან უთანხმოების გამო), რის შედეგადაც ოჯახმა ბევრი გაჭირვება გადაიტანა. იდა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერდა: „მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რა გადავიტანე, მე ჩემი

¹ THE STORY OF IDA PFEIFFER And Her Travels in Many Lands, London, 1879, p. 12.

18 წლიანი ცოლქმრული ცხოვრების განმავლობაში, არა ჩემი მეუღლის ცუდი მოპყრობის, არამედ გაჭირვებისა და სიღატაკის გამო. მე დავიბადე მდიდარ ოჯახში და მიჩვეული ვიყავი ახალგაზრდობიდანვე კომფორტს და წესრიგს და ახლა ძალიან ხშირად არ ვიცი, თუ სად გავათენო ღამე და მოვიპოვო მცირეოდენი თანხა, რათა დავიკმაყოფილო უბრალო საჭიროებები. მე ვაკეთებდი სახლის მძიმე სამუშაოს, ვუძლებდი სიცივეს და შიმშილს, ჩუმად ვმუშაობდი მცირეოდენი გასამრჯელოსათვის, ვატარებდი ხატვისა და მუსიკის გაკვეთილებს, თუმცა ამის მიუხედავად, ძალიან ხშირად ჩემი საწყალი შვილებისათვის გამხმარი პურის გარდა არაფრის მიწოდება არ შემეძლო“.¹ 1837 წელს იდას დედა გარდაეცვალა. იდამ მემკვიდრეობით მიიღო მშობლების ქონების ნაწილი. სწორედ ამ ქონებით მოახერხა მან შვილებისთვის შესაფერისი განათლება მიეცა. 1838 წელს მომავალი მოგზაური მეუღლეს გაშორდა. მას შემდეგ, რაც იდას შვილები წამოიზარდნენ, მან გადაწყვიტა ბავშვური ოცნებებისთვის

¹ THE STORY OF IDA PFEIFFER And Her Travels in Many Lands, London, 1879, p. 14.

ფრთები შეესხა და მოგზაურობა დაეწყო. მისი მიზანი იერუსალიმის წმინდა მიწის მონახულება იყო. იდამ 1842 წელს ვენა დატოვა და 22 მარტს, ბორნით გაუყვა მდინარე დანუბას შავ ზღვამდე, რათა ის კონსტანტინოპოლში ჩასულიყო. იქიდან იდა გაემგზავრა ბრუსაში (თანამედროვე თურქეთი), ბეირუთში, ჰაიფაში (თანამედროვე ისრაელი), იერუსალიმში, შემდეგ კი მკვდარი ზღვით ნაზარეთში. იდა პფაიფერმა მოინახულა: დამასკო, ბაალბეკი, ლიბანი, ალექსანდრია და ქაირო. ამის შემდეგ აისა (აღმოსავლეთ საჰარა), მან გაიარა უდაბნო, რათა სუეცის არხამდე და წითელ ზღვამდე მიეღწია. ეგვიპტიდან მოგზაური მშობლიურ ქალაქში 1843 წლის დეკემბერში დაბრუნდა. მომდევნო წელს მან გამოსცა დღიური „ვენელი ქალბატონის მოგზაურობა აღთქმულ მიწაზე“. როგორც მკვლევარი გაბრიელა ჰეზინგერი აღნიშნავს: „პალესტინაში მოგზაურობის დღიური თავისებურ მოგონებად იყო ჩაფიქრებული, თუმცა იდა პფაიფერმა ვენელი გამომცემლის - დიმბიოკის დაჟინებით ანონიმურად გამოსცა. ბოლოს და ბოლოს წმინდა მიწაზე ვენელი ქალის მოგზაურობის შესახებ მოხერხდა ოთხი გამოცემა და როგორც მისი მოგზაურობის ყველა შემ-

დეგი პუბლიკაცია, მრავალ ენაზე ითარგმნა“.¹ იდა პფაიფერის წიგნი „Journey of a Viennese Lady to the Holy Land“. დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა. მიღებული ჰონორარით იდამ გადაწყვიტა მოგზაურობა განეახლებინა. ამჯერად მან გადაწყვიტა სკანდინავიაში წასულიყო. მისი მოგზაურობა დაიწყო 1845 წლის 10 აპრილს. იგი ვენაში იმავე წლის 5 დეკემბერს დაბრუნდა. მალე იდამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მსოფლიოს გარშემო ემოგზაურა. 1846 წლის 1 მაისს, გაემგზავრა რიო დე ჟანეიროში. 1844 წლის 3 თებერვალს იდა ჩავიდა ჰორნის კონცხზე (წყნარი ოკეანე), ხოლო 2 მარტს კი ვალპარაისოში (ვენესუელა). იქიდან გაემგზავრა ტაიტში, სადაც მოგზაური დედოფალ პომარე IV (1813-1874 წ.წ.) წარუდგინეს. ივლისის დასაწყისში პფაიფერი იმყოფებოდა მაკაუში (მალაიზია), შემდეგ ჩავიდა ჰონკონგსა და კანტონში. სინგაპურის გავლით აღმოჩნდა ცეილონში (შრილანკა). ოქტომბრის დასასრულს, ის უკვე მადრასშია (ინდოეთი). აქედან კალკუტაში მიდის, შემდეგ ბენარესში (მდ. განგის აუზი), ბენარესიდან კი

¹ Ida Pfeiffer, Eine Frau Fährt, Um Die Welt, Die Reise 1846 nach Sudamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien, 2005, p. VIII.

ბომბეიში. აპრილის ნახევარში იდა გაემგზავრა სპარსეთში. ქალაქ ბუშირიდან (თანამედროვე ირანის ტერიტორია) გადავიდა ბაღდადში. ქტესიფონის (თანამედროვე ერაყის ტერიტორია) და ბაბილონის ისტორიული ადგილების მონახულების შემდეგ იდა გაჰყვა ქარავანს ქ. მოსულამდე (თანამედროვე ერაყის ტერიტორია), დაათვალიერა ნინევიის ნანგრევები. შემდეგ ჩავიდა ქალაქ თავრიზში, სადაც იდა წარუდგინეს ინგლისის ელჩს, რომელიც აღფრთოვანებული დარჩენილა ავსტრიელი ქალის მოგზაურობით.¹ თავრიზში იდა პფაიფერი შეხვედრია ირანის შაჰის წარმომადგენელს „ვიცე მეფეს“, რომელსაც მოგზაურისთვის თავისი ჰარემი უჩვენებია. 1848 წლის 11 აგვისტოს იდამ გააგრძელა მოგზაურობა სომხეთსა და საქართველოში. დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, ყულევიდან (მაშინდელი რედუტ-კალე) პფაიფერი გაემგზავრა ანაპაში, შემდეგ ქერჩსა და სევასტოპოლში, ხოლო ოდესიდან კონსტანტინოპოლში. 1848 წლის 4 ნოემბერს იდა პფაიფერი საბერძნეთის, იონიის კუნძულების და ტრიესტის (იტალია)

¹ Ida Pfeiffer, Eine Frau Fährt, Um Die Welt, Die Reise 1846 nach Sudamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien, 2005, p. 20.

გავლით ვენაში დაბრუნდა. ამ დროს ვენა ალყაშემორტყმული იყო იმპერატორ ფრანც იოზეფ I ჯარების მიერ. როგორც ცნობილია, ფრანც იოზეფმა, რომელიც ჰაბსბურგ-ლოთარინგელთა დინასტიის წარმომადგენელი იყო (1830-1916 წ.წ.), ავსტრია და უნგრეთში არსებული აჯანყებები ჩაახშო და აბსულუტიზმი აღადგინა. სწორედ ეს მოვლენები დაემთხვა მოგზაური ქალის სამშობლოში დაბრუნებას. იდა პფაიფერის მეორე ნაშრომი „A Woman’s Journey Round the World“, განსაკუთრებული ინტერესით მიიღო საზოგადოებამ, იგი ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. 1851 წლის 18 მარტს იდა პფაიფერი, მას შემდეგ რაც ავსტრიის მთავრობამ მას სამოგზაურო ხარჯები მისცა (როგორც ანონიმი ავტორი გადმოგვცემს მისი ბიუჯეტი 1500 ფლორინით გაზრდილა), ლონდონში გაემგზავრა, საიდანაც 11 აგვისტოს კეიპტაუნში ჩავიდა. იგი ვერ აკეთებდა არჩევანს ცენტრალურ აფრიკაში გამგზავრებულიყო, თუ ავსტრალიაში. საბოლოოდ სინგაპურში წავიდა, შემდეგ კი გადაწყვიტა აღმოსავლეთ ინდოეთი მოენახულებინა. სარავაკიდან (ირანი) იგი გაემგზავრა პონტინიაკისკენ (მალაიზია), აქედან კუნძულ იავაზე (ანგოლა), შემდეგ კი სუმატრაზე

(სამხრეთ აფრიკა). 1853 წლის 27 სექტემბერს მან ორთვიანი მოგზავრობის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში, კალიფორნიის შტატში არსებულ ქალაქ სანფრანცისკოში ჩააღწია. მოგზაურს სურვილი ჰქონდა ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის დასრულებისთანავე გადაეკვეთა ანდების მთები და სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, ბრაზილიაში ჩასულიყო, მაგრამ პერუში მომხდარმა რევოლუციამ მას განზრახვაზე ხელი ააღებინა. იგი ეკვადორისკენ გაემართა, აქედან კი კორდილიერებზე იმოგზაურა. მაისის ბოლოს იდა ახალი ორლენისკენ (აშშ, ლუიზიანას შტატი) გაემგზავრა. შემდეგ სენტ ლუისში (მისურის შტატი), სენრ პოლსა და ჩიკაგოში. მოინახულა ნიაგარას ჩანჩქერი. კანადაში მცირეხნიანი ვიზიტის შემდეგ იდამ ნიუ-იორკსა და ბოსტონში იმოგზაურა. შემდეგ გადაკვეთა ატლანტიკის ოკეანე და 1854 წლის 21 ნოემბერს ინგლისში ჩავიდა. ორი წლის შემდეგ მან გამოსცა წიგნი: „My Second Journey Round the World”. მისი ბოლო მოგზაურობა იყო მადაგასკარზე, სადაც უკურნებელი დაავადება შეეყარა. როგორც გაბრიელა ჰებინგერი აღნიშნავს, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი და კარლ რიტერი (რომელთა ხელშეწყობითაც იდა პფაიფერი ბერლინის გე-

ოგრაფიული საზოგადოების წევრი გახდა) მოგზაურ ქალს ურჩევდნენ მადაგასკარზე მოგზაურობისგან თავი შეეკავებინა, თუმცა იდას განზრახვა ვერ გადააფიქრებინეს. ჰებინგერის თქმით იდას ავსტრიის დედოფლის წინააღმდეგ (ავსტრიის დედოფალი ამ დროს იყო ფრანც იოზეფის მეუღლე ელისაბედი 1837–1898 წ.წ.) შეთქმულებაში მონაწილეობა დაბრალდა და ის ქვეყნიდან გააძევეს.¹ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ღვიძლის კიბო აღმოაჩნდა და 1858 წლის 27 ოქტომბერს მოგზაური გარდაიცვალა. როგორც აღვნიშნეთ, იდა პფაიფერმა 1848 წელს სპარსეთში იმოგზაურა. აქედან სომხეთში, შემდეგ კი საქართველოში ჩავიდა. კავკასიაში მან თვეზე მეტ ხანს დაჰყო, 1848 წლის 11 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე. იდა პფაიფერის თხზულებაში ცალკე თავი აქვს დათმობილი „აზიურ რუსეთს“ რომლისთვისაც მოგზაურს ასეთი ქვესათაური გაუკეთებია: „სომხეთი, საქართველო და სამეგრელო“. ის დაწვრილებით აღწერს კავკასიაში რუსეთის სასაზღვრო ადგილებს, რომელიც მისი გადმოცემით მდინარე არაქსზე გადიო-

¹ Ida Pfeiffer, Eine Frau Fährt, Um Die Welt, Die Reise 1846 nach Sudamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien, 2005, p. IX.

და. მოგზაური გვაწვდის ცნობებს სამხრეთ კავკასიის ბუნების, კლიმატის, მდინარეების, ასევე აქ მცხოვრებ ადამიანთა დასახლებების შესახებ.¹ ავსტრიელი მოგზაური დიდ ადგილს უთმობს კავკასიაში რუსული მმართველობის სტილზე საუბარს, როგორც იდა პფაიფერი წერს: „როგორც კი რუსულ მიწაზე (იგულისხმება სამხრეთ კავკასია - გ.ს.) ფეხი დავდგი, დაიწყო უსირცხვილო მათხოვრობა წვრილმანი გასამრჯელოსთვის“. იდა პფაიფერი ახსენებს სამხრეთ კავკასიაში არსებულ გერმანელ კოლონისტთა დასახლებას, რომელიც მისი ცნობით არარატის მთასთან ახლოს იყო. როგორც ცნობილია, გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება კავკასიაში მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო და ამ პროცესს ხელს უწყობდა რუსეთის საიმპერატორო კარი.² ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის

¹ გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის კავკასიაში მოგზაურობის დღიური, როგორც საისტორიო წყარო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები, რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013, გვ. 55.

² პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 472.

გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი, რომელმაც კავკასიაში 1843–1846 წლებში იმოგზაურა. ვაგნერის ინფორმაციით გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში თავიანთი ახალშენები დააარსეს. მათი კოლონიები იყო სამხრეთ კავკასიაშიც: კატარინენფელდი, ანენფელდი და ჰელენფელდი.¹ კავკასიაში გერმანული კოლონიების შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდიც, რომელიც კავკასიაში 1825–1826 წ.წ. იმყოფებოდა.² იდა პფაიფერი გერმანელთა ახალშენების გვერდით იხსენიებს რუსულ კოლონიებსაც და ეს შემთხვევით არ არის. საიმპერატორო კარმა XIX საუკუნის 30-იან წლებში მიზნად დაისახა კავკასიის სამხედრო კოლონიზაცია, რათა ამით კიდევ უფრო გაემყარებინა პოლიტიკური პოზიციები. ამის ნათელი დადასტურებაა ნიკოლოზ I ბრძანება ბარონ როზენისადმი: „შედგენილ იქნას პროექტი კავკასიის სამხედრო კოლონიზაციისა, სადაც დასახლებულ იქნან ცოლიანი

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 63.

² ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 249.

რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც მოიხადეს 15 წლიანი სამსახურის ვადა; რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში და ამგვარ დასახლებათა საშუალებით, რამდენადაც შესაძლებელია, დავიახლოვოთ კავკასიის ხალხები“.¹ იდა პფაიფერი დაწვრილებით აღწერს ქალაქ ერევანს. როგორც ჩანს, მან ადგილობრივი სომხებისგან ჩაიწერა გადმოცემა, რომლის მიხედვით ბიბლიური ნოე წარღვნამდეც ერევნის მიდამოებში ცხოვრობდა და წარღვნის შემდეგაც. იდა პფაიფერს პატარა სომხურ ქალაქ ნახიჭევანში როგორც თავად გადმოგვცემს ნოეს საფლავის ძეგლიც უნახავს. მისი ინფორმაციით სომეხი მწერლები თვლიდნენ, რომ ნახიჭევანი ბიბლიური ნოეს დაარსებული უნდა ყოფილიყო. მოგზაური აღწერს ეჩმიაძინის მონასტერს. პფაიფერის ცნობით ოდესღაც ამ მონასტერში ინახებოდა ქრისტეს ორი სამსკ-

¹ პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 614.

* საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებით დასტურდება, რომ ქრისტეს უკერავი პერანგი, ანუ კვართი საქართველოში, კერძოდ, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარშია დაცრძალული, იგი იმ მცხეთელმა ებრაელებმა ჩამოაბრძანეს, რომლებიც მაცხოვრის ჯვარცმას ესწრებოდნენ. ამის შესახებ, იხ. ვრცლად, ე. მამისთვალიშვილი, ქრისტეს კვართის ისტორია, გორი, 2000.

ვალი, ასევე შუბი და უკერავი პერანგი.* იდა პფაიფერი აღწერს კავკასიაში არსებული თათრების დასახლებას, მათ ყოფა-ცხოვრებას. თათრების ეთნიკური წარმომავლობა მას დაკონკრეტებული არ აქვს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ისინი ისლამის მიმდევრები იყვნენ. მოგზაურის ცნობით თათრები სხვადასხვა სავაჭრო ქარავნებს კავკასიაში მეგზურობას უწევდნენ. ადგილობრივი თათრების გარდა, რომლებიც მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ, იდა პფაიფერის ინფორმაციით იყვნენ მომთაბარე თათრებიც, რომლებსაც ცხენებით დაჰქონდათ კარვები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. თათრების დასახლებიდან მას, როგორ თვითონ წერს 24 ვერსი აშორებდა თბილისამდე. კავკასიაში, კერძოდ კი თბილისში თათრებს იხსენიებს მორიც ვაგნერიც. როგორც გერმანელი მოგზაური წერს, თათრები საუბრობდნენ „თურქულ-თათრულ კილოზე“. კავკასიელ თათრებს რუსული სამხედრო ძალის ზემოქმედების მიუხედავად ვაგნერის ცნობით მეზრდოლი სული შერჩათ. ისინი ნაკლებად ემორჩილებოდნენ „რუსული პოლიციის მათრახსა და გადასახადის ამკრეფი მოხელეების მხრივ წვა-

ლებას“.¹ აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში რუსულ დამპყრობლურ პოლიტიკას ამიერკავკასიიდან ბევრი მუსლიმანი გაექცა, მათ ირანს და თურქეთს შეაფარეს თავი.² ავსტრიელი მოგზაური თავის დღიურში მოგვითხრობს საქართველოს დედაქალაქის შესახებ. თბილისს ის ევროპულ ქალაქად თვლის და ერთ–ერთ ქალაქ ვალპარაისოს* ადარებს. იდა პფაიფერი აღწერს თბილისის ქუჩებს, ქალაქში არსებულ გოგირდის აბანოებს, აქაურ მოსახლეობას, მათ ჩაცმულობას.³ თუმცა თბილისზე საუბრის შემდეგ ის ჩერქეზების აღწერაზე გადადის. მოგზაური აღწერს ჩერქეზი მამაკაცების და მანდილოსნების აღნაგობას და სამოსს. აქ ორი ვერსიაა დასაშვები: 1. იდა პფაიფერმა თბილისში ნახა ჩრდილოეთ კავკასიიდან სავაჭროდ ჩამოსული ჩერქეზები და ამიტომ გვაწვდის მათ შესახებ ცნობებს. თბილისში ჩერქეზები რომ

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 33.

² პ. გუგუშვილი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 523.

³ გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის ცნობები საქართველოს შესახებ, მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელნაწერი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013, გვ. 188.

* აღნიშნული ქალაქი, რომელიც მან სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს მოინახულა, თანამედროვე ვენესუელას ტერიტორიაზეა.

ხშირად ჩამოდიოდნენ, ამას მორიც ვაგნერიც ადასტურებს. მისი ცნობით: „ჩამოთვლილ ხალხებთან შედარებით ერთეულებათ (დაფანტულად) ჩანან ტფილისში ოსები, ჩერქეზები, ლეკები, ყაზი-ყუმუხები, ლაზები, სვანები და ქურთები“.¹ მორიც ვაგნერი იდა პფაიფერის მსგავსად თბილისზე საუბრის დროს გარკვეულ ადგილს უთმობს ჩერქეზი მამაკაცების აღწერას.² რაც შეეხება მეორე ვერსიას, შესაძლოა იდა პფაიფერს ერთმანეთში აერია ქართველები და ჩერქეზები და საქართველოს დედაქალაქში მყოფი მოგზაური ქართველების ნაცვლად ჩერქეზებზე გვესაუბრება. 1848 წლის 6 სექტემბერს, იდა პფაიფერი თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. გზად მიმავალი აღწერს საქართველოს ბუნებას. იდა შეჩერებულა ქალაქ გორში, შემდეგ კი გზა გაუგრძელებია სურამისკენ. სურამიდან ის ჩავიდა ქუთაისში, იქიდან კი რედუტ-კალეში (ყულევში), საიდანაც საქართველო დატოვა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაემგზავრა. იდა პფაიფერის თხრობას ახასიათებს სადა სტილი. ფაქტებს და

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 33.

² იქვე, გვ. 34.

მოვლენებს ავსტრიელი მოგზაური აღწერს შეულამაზებლად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. როგორც მისი თხზულების გამომცემელი გაბრიელა ჰეინგერი წერს: „იდა პფაიფერის ჩანახატებზე გავლენა იქონია მისმა ევროპულმა ღირებულებებმა და მორალურმა წარმოდგენებმა. ის ხშირად განსჯიდა ახალსა და უჩვეულოს, უცხო ადამიანების გარეგნობა და ცხოვრების წესი მის ევროპულ ხედვას ძლივს უმკლავდებოდა, მაგრამ ის არც კრიტიკას იშურებდა საკუთარი საზოგადოების მიმართ: დაუნდობლად ამათრახებდა მონობას, კოლონიური მმართველობისა და მისიონერული საქმიანობის ნაკლოვანებებს. არც თუ იშვიათად, ნამდვილი „ცივილიზებული“ ევროპელები, „არაცივილიზებული“ ხალხთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩენილან. გარდა ამისა, თავისი მოგზაურობის ჩანაწერებში იგი შურს იძიებდა ხოლმე არგაწეული დახმარების გამო, მაგრამ მით უფრო აქებდა მათ, ვინც ბევრი ტვირთისა და მსახურების გარეშე მყოფს გზაში უანგაროდ დაეხმარა. მიუხედავად მისი ცალმხრივი, სუბიექტური საზომისა, იდა პფაიფერის ჩანახატები გვხიბლავს ზედმიწევნით ზუსტი დაკვირვე-

ბეებით, თავისი მახვილგონივრულობითა და სისადავით, ასევე იუმორითა და ირონიით. მისი ყველაზე დიდი ამოცანა იყო, განცდილი და ნანახი ობიექტურად გადმოეცა და გადაჭარბება-გაზვიადებისთვის თავი აერიდებინა. პირველივე მოგზაურობის ჩანაწერებში იგი ირწმუნება: ყველაფერს ისე აღვწერ, როგორც ვხედავ, როგორც თვალწინ წარმომიდგება, შეულამაზებლად, მაგრამ სწორად. მოგზაურობის აღწერანი წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ამ თავნება ქალბატონის ხასიათს, მეორე მხრივ, გვაჩვენებს გასული საუკუნის შუახანების სა-მოგზაურო პირობებს, ასევე იმდროინდელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთკავშირებს¹. დასასრულს, გვსურს აღვნიშნოთ, რომ იდა პფაიფერის ცნობები კავკასიის შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ამიტომ მისი შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში, სარგებელს მოუტანს, როგორც მკვლევარებს, ისე ფართო მკითხველსაც. იდა პფაიფერის ცნობების ქართულ ენაზე გამოცემისას ვისარგებლეთ წიგნით: Ida Pfeiffer, Eine Frau Fahrt, Um Die Welt, Die Reise 1846 nach

¹ Ida Pfeiffer, Eine Frau Fahrt, Um Die Welt, Die Reise 1846 nach Sudamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien, 2005, p. X.

Sudamerika, China, Ostindien, Persien und Kleinasien, Herausgegeben von Gabriele Habinger, Wien, 2005. იდა პფაიფერის ბიოგრაფიულ ცნობებზე, ასევე გერმანულ ტექსტზე მუშაობისას დახმარებას გვიწევდნენ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლები: დოქტ. ნ. ბაქრაძე, ლ. იაშვილი, ზ. ზურაბაშვილი, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას ვუხდით.

წინათქმა

გაზეთებში მე მომიხსენიებდნენ, როგორც ტურისტს, თუმცა ეს სახელი - თავისი ჩვეულებრივი, მნიშვნელობისდა მიხედვით - სამწუხაროდ არ შემეფერება. ერთი მხრივ, მაკლია მახვილგონიერება და განწყობა იმისათვის, რომ სახალისოდ ვწერო, და მეორე მხრივ, არ მაქვს საკმარისი ცოდნა ნანახისა და განცდილის შესახებ დასკვნების გამოტანა რომ შევძლო. მე შემიძლია მხოლოდ უბრალოდ და შეულამაზებლად გადმოვცე ის, რაც შემხვედრია, რაც მინახავს; და თუ მინდა რაიმე შევაფასო, შემიძლია ეს მხოლოდ უბრალო შეხედულებების, თვალსაზრისების მხრიდან გავაკეთო.

ალბათ ზოგიერთებს ჰგონიათ, პატივმოყვარეობა უნდა ყოფილიყო საბაზი ამ დიდი მოგზაურობისა. არაფერი მაქვს ამაზე სადაო, თუ არა, ვინც ასე ფიქრობს, შეუძლია თვითონ წამოიწყოს მსგავსი მოგზაურობა იმისათვის, რომ დაინახოს რომ ასეთი ტვირთი, ასეთი გაჭირვება და ხიფათი მხოლოდ დაბადებიდან თანდაყოლილი მოგზაურობის წყურვილით, უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით შეიძლება გადაილახოს.

როგორც მხატვარს მოუწოდებს გრძნობა დახატოს სურათი, პოეტს კი - თავისი აზრები გამოთქვას, ასე მივიღტვი სამყაროს სანახავად.

მოგზაურობა იყო ჩემი სიყმაწვილის ოცნება, ახლა კი ნანახის გახსენება ჩემი სიბერის სიამეა.

პატივცემულმა საზოგადოებამ გულთბილად და სიკეთით მიიღო ჩემი მოგზაურობის შეულამაზებელი ცნობები: ამბები „წმინდა მიწისკენ, ისლანდიისა და სკანდინავიისკენ“, და ეს მაძლევს ძალას კვლავ წარვსდგე საზოგადოების წინაშე ჩემი ბოლო და უდიდესი მოგზაურობის დღიურებით.

მინდა ჩემი თავგადასავლის მონათხრობით პატივცემულ მკითხველს შევთავაზო მხოლოდ ერთი ნაწილი იმ სიამოვნებისა, რომელიც მოგზაურობამ ასე გულუხვად მომანიჭა!

ავტორი ვენა, 16 მარტი, 1850 წ.

აზიური რუსეთი

სომხეთი, საქართველო და სამეგრელო

სოფია* მარანდი* რუსეთის საზღვარი* ნაჩივანი* ქარავანით

მოგზაურობა* ერთი ღამე ტყვეობაში* მგზავრობის

გაგრძელება* ერივანი* რუსული ფოსტა. *თათრები

*ტიფლისში ჩასვლა * იქვე გაჩერება. * მგზავრობის

გაგრძელება. *ქუთაისი * მარანდი * რიბონზე მგზავრობა *

რედუტკალე

11 აგვისტო. თავრიზსა¹ და ნაჩივანს² შორის მდებარე სადგურები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგრამ პირველი სადგური ერთ-ერთი უდიდესია სოფიას³ შემდეგ, რომლის გავლასაც ექვსი საათი მოვანდომეთ. გზა უმეტესად უნაყოფო და დაუსახლებელი ველებს მიუყვებოდა.

როცა სოფიას მივაღწიეთ, უკვე სამი საათი იყო, ამიტომ ჩემი გადაყვანა აღარ მოინდომეს - მიმითითეს მზეზე, იმის ნიშნად, რომ უკვე გვიანი იყო, ამასთან ისეთი გამომეტყველება მიიღეს, რომ შეიძლებოდა თავს დამსხმოდნენ, დავეყაჩაღებინე, ან სულაც მოვეკალი. მაგრამ ამისთანა წინააღმდე-

გოზა მე ვერასოდეს მორგუნავდა. და მას შემდეგ, რაც დიდი გაჭირვებით დავადგინე, რომ შემდეგ სადგურამდე ოთხი საათის სავალი იყო, გადავწყვიტე გზა გამეგრძელებინა და ჩემი მსახურის გულის დასაწყვეტად, რომელიც ნაჩივანამდე მყავდა დაქირავებული, ახალი ცხენების შეკაზმვის ბრძანება გავეცე.

მიუხედავად იმისა, რომ სადგურ მარანდში⁴ რვა საათისთვის ჩავედით, თავიც ზედ გვება და ბარგიც თან გვქონდა.

12 აგვისტო. დღეს ჩვენ ერთადერთი სადგური გვქონდა გასავლელი არაქსამდე⁵, რუსეთის საზღვრამდე. მართალია მხოლოდ ერთი სადგური იყო, მაგრამ თერთმეტი საათის სავალზე ერთ პატარა ნაკადულს მივუყვებოდით, რომელიც მიყრუებულ ხეებსა და ველებზე მიედინებოდა, გზაზე, გარდა რამდენიმე პატარა წისქვილისა და მეჩეთის ნანგრევებისა, პატარა სოფელიც კი არ შეგვხვებოდა. სპარსეთის ქვეყანაში არც ერთი შენობისთვის არ მომიკრავს თვალი. სპარსეთი საერთოდ წყლის ნაკლებობის გამო მეჩხრად არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას

არ აქვს უფრო მეტი მთა და ნაკლები მდინარე, ვიდრე სპარსეთს. ამიტომ ჰაერი ძალიან მშრალი და ცხელია.

მთისწინეთის შორიახლოს მიედინება მდინარე არეზი, თუ არაქსი, რომელიც სომხეთს მიდიისგან⁶ ყოფს, საშინლად მოჰქუხს და მაღალ ტალღებს ისვრის. აქ ის სპარსულ და რუსულ ტერიტორიებს შორის ბუნებრივ საზღვარს წარმოქმნის. ეს მდინარე ნავით გადავლახეთ. მდინარის მეორე ნაპირზე პატარა სახლებია, სადაც მგზავრები ჩერდებიან ხოლმე და აქ საჭიროა ადგილობრივი მცხოვრებნი დაარწმუნო, რომ არც ყაჩაღი, არც მკვლელი და განსაკუთრებით, პოლიტიკურად საშიში ადამიანი არ ხარ. დროდადრო, როცა შავი ჭირი, ან ქოლერა მძვინვარებს, რაღაც დროით კარანტინს აწესებენ.

თავრიზში რუსი კონსულის წერილმა აქაური მაღალი ჩინოვნიკისადმი უზრუნველყო ძალიან თავაზიანი მიღება - ამ დროს არც შავი ჭირი იყო და არც ქოლერა, კარანტინსაც ავერიდე.

ის იყო რუსეთის მიწაზე ფეხი დავდგი, რომ დაიწყო უსირცხვილო მათხოვრობა წვრილმანი გასამრჯელოსთვის. ჩინოვნიკს თავის მოსამსახურეთა შორის ჰყავდა ერთი კაზაკი,

რომელიც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს გერმანული იცოდა. ჩემი ყოფნის მიზნის დასადგენად იგი ჩემთან მოგზავნეს. ამ არამზადამ ისევე იცოდა გერმანული, როგორც მე ჩინური. სამ-ოთხ სიტყვას ძლივს უყრიდა თავს. ამიტომ ავუხსენი, რომ მისი დახმარება არ მჭირდებოდა, მიუხედავად ამისა, მაშინვე ხელი გამომიწოდა და სამსახურისთვის გასამრჯელო მოითხოვა.

13 აგვისტო. დილაადრიან ერთი მეზაჟის თანხლებით არაქსი დავტოვე და ოცდათხუთმეტი ვერსი ჭენებით გავიარე პატარა ქალაქ ნაჩივანამდე, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს ველზე მდებარეობს და არარატის⁷ მაღალი მთებით არის გარშემორტყმული. ეს ველი ნაყოფიერია, მაგრამ ხეებით ღარიბი, როგორც მთელი შემოგარენი.

თავშესაფრის პოვნა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ისე არ გამჭირვებია, როგორც აქ. ორი წერილი მქონდა, ერთი გერმანელი ექიმისადმი, მეორე კი - გუბერნატორისადმი. ამ უკანასკნელთან სამგზავრო ტანსაცმლით მისვლა არ მინდოდა (მე ხომ კულტურულ ხალხთან ვიმყოფებოდი, რომლებიც სხვას ჩაცმულობით აფასებენ), ვფიქრობდი, რომ აქ არ

იქნებოდა, ისეთი სასტუმრო, ექიმს შესახვედრად რომ შევთავაზებდი. წერილის მისამართი, რომელიც ამ ქვეყნის ენაზე ეწერა, ბევრ ადამიანს წავაკითხე და ვთხოვე მათ გზა ეჩვენებინათ, მაგრამ ყველა თავს იქნევდა და მეც იძულებული ვიყავი გზა გამეგრძელებინა. ასე მივედი საბაჟოს შენობასთან, სადაც ჩემი მცირეოდენი ბარგი ჩაიბარეს და ინსპექტორთან წამიყვანეს. ამ კაცმა ცოტა გერმანული იცოდა, მაგრამ ჩემი თხოვნა მხედველობაში არ მიიღო, საბაჟოს ოთახში მიმიხმო და ჩემი პატარა ჩემოდანი გამახსენებინა.

ინსპექტორის ცოლმა და დამ გამაცილეს. ძალიან გაკვირვებული ვიყავი ასეთი ზრდილობიანი მოპყრობით, მაგრამ მალე მივხვდი, რა ამოდრავებდათ - ორივე ქალბატონს უნდოდა ენახა, თუ რა ჩამოვიტანე თან. სკამები მოატანინეს, ჩემი პატარა ჩემოდნის წინ ჩამოსხდნენ და როგორც კი გავხსენი უკვე ექვსი ხელი ფუთფუთებდა შიგ (ორივე ქალისა და საბაჟოს მოხელის). ერთი დუჟინი ერთმანეთზე დაწყობილი ქაღალდი, მონეტები, გამხმარი ყვავილები და ბაბილონიდან⁸ და ნინე-ვიადან⁹ წამოღებული სხვა ნივთები თვალისდახამხამებაში აურ-დაურიეს და მიყარ-მოყარეს. თითოეული შეკვრა, თითო-

ეული ჩაჩი ამოიღეს. ინსპექტორის ცოლი აშკარად მიხვდა, რომ დიდი ბრძოლა ქონდა გადასატანი მათ წესრიგში მოსაყვანად. ბოლოს ნამდვილად იმ აზრზე ვიყავი, რომ ველურებში მოგხვდით.

მას შემდეგ, რაც ჩემოდანი საკმარისად გაისინჯა, პატარა ყუთის ჯერი დადგა, რომელშიც ჩემს უდიდეს განმსწინევის თავს¹⁰ ვინახავდი*. ხელი სტაცეს მძიმე ცულს, ერთი ფუტის სიგრძის ყუთისთვის თავი რომ აეხადათ. ამან მეტად გამაბრაზა. მივვარდი და ეს არ გავაკეთებინე. ჩემდა საბედნიეროდ, სწორედ მაშინ მოვიდა მესამე ქალი, ეროვნებით გერმანელი.**

მას ვუთხარი, თუ რა იყო ყუთში და რომ სულაც არ ვაპირებდი მის გახსნაზე უარის თქმას, მხოლოდ ხვეწისა და მარწუხის ხმარებისას ფრთხილად იყვნენ-მეთქი. მაგრამ, აი სასწაული! საბაჟოში, სადაც ასეთი შემთხვევები ყოველ დღე ხდება, ეს ხელსაწყოები არ აღმოაჩნდათ! იმას მაინც მივაღწიე, რომ

* ეს თავი მას შემდეგ მივიღე, როცა ჩემი ბარგი-ბარხანა მოსულიდან გაგზავნილი მქონდა, ამის გამო იძულებული გავხდი თან წამეღო.

** რუსეთის ტერიტორიაზე ყველგან შეხვედებით ბევრ გერმანელს, ჯერ ერთი, რომ ბევრი ჩამოსული გერმანელია დასაქმებული, მეორეც, რუს ხელმწიფეს უამრავი პროვინციები აქვს, სადაც გერმანული ენაა გაბატონებული.

ყუთის სახურავი სიფრთხილით სამ ნაწილად გავატეხინე. ჩემი დიდი აღელვების მიუხედავად, იძლებული ვიყავი გამედიმა მათ ბრიყვულ გამომეტყველებაზე, რომელიც სახეზე გამოეხატა ორივე ქალბატონსა და საბაჟოს მოხელეს, როცა ბაბილონური აგურის ნამტვრევები და ცოტა დაზიანებული თავის ქალა დაინახეს, ვერაფრით მიხვდნენ, რა საჭირო იყო ამისთანა რამეების თრევა.

გერმანელმა ქალმა, ჰენრიეტა ალექსანდერმა, თავისთან დამპატიჟა ფინჯან ყავაზე და როცა თავშესაფართან დაკავშირებით წარმოქმნილი სირთულეების შესახებ შეიტყო, მაშინვე თავის სახლში ერთი ოთახი გამომიყო. მეორე დღეს გუბერნატორს ვესტუმრე, რომელმაც ძალიან თავაზიანად მიმიღო და არაერთგზის შემომთავაზა - მაშინვე მის სახლში გადავსულიყავი. მან იზრუნა ჩემს პასპორტსა და ვიზაზე, რომელიც ამ მოკლე ხანში, რაც ქრისტიანულ ქვეყანაში ვიმყოფებოდი, ნახევარი დუჟინი მაინც დამჭირდა. ჩემს გამო ერთ თათარსაც მოელაპარაკა, რომლის ქარავანიც ტიფლისს¹¹ მიემართებოდა. კეთილ ქალბატონ ალექსანდერთან ერთად დავათვალიერე შესაბრაალისი, ნახევრადდანგრეული პატარა ქალაქი და ნოეს¹²

საფლავის ძეგლი. სპარსული ცნობებით ნაჩივანი სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქი უნდა ყოფილიყო. სომეხი მწერლები ამტკიცებენ, რომ ამ ქალაქის დამაარსებელი ნოე იყო. თანამედროვე ქალაქი მთლიანად აღმოსავლური სტილით არის აშენებული. ახალი შენობებიდან მხოლოდ რამდენიმე სახლის კარ-ფანჯრები იყურება ვიწრო ქუჩაში, უფრო ხშირად ფასადები პატარა ბაღებისკენაა მიმართული. ამ ხალხის ჩაცმულობაც სპარსელებისას გავს. მხოლოდ ჩინოვნიკები, ვაჭრები და ა. შ. ევროპულად იცვამენ.

17 აგვისტო. დღეს თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, ყველაზე არასასიამოვნო ის იყო, რომ საღამოს ქარავანი წავიდა. რამდენიმე დღე საკვებიც არ მქონდა და ძალიან დასუსტებული ვიყავი. მაინც წამოვდექი ტახტიდან და ქარავნის ცხენზე შევჯექი. ვფიქრობდი, რომ ჰაერის შეცვლა ყველაზე კარგი გამჯანსაღებელი საშუალება იქნებოდა.

საბედნიეროდ, ძალიან პატარა მანძილი გავიარეთ ქალაქის კარიბჭემდე და იქ დავრჩით ღამე და მომდევნო დღე.

18 აგვისტოს ისევ გავუდექით გზას. ქარავანს მხოლოდ სავაჭრო საქონელი მიჰქონდა, გამყოლები თათრები იყვნენ.

მგზავრობას ნაჩივანიდან ტიფლისამდე (500 ვერსი) ჩვეულებრივ 12-14 დღე უნდა. ჩემი ქარავნით კი, თუკი მოგზაურობის დასაწყისს გავითვალისწინებთ, ალბათ ექვს კვირას მოვუნდებოდით, რადგან პირველ ღამეს მხოლოდ ერთი საათი ვიარეთ, მეორე ღამეს ოთხ საათზე ცოტა მეტი - ალბათ ფეხით უფრო შორს წავიდოდი.

19 აგვისტო. ჭეშმარიტად რთული ასატანია, მთელი დღე ნაწვერალ მინდორზე მცხუნვარე მზის ქვეშ ვეყარეთ, მხოლოდ საღამოს ცხრა საათზე შევჯექით ცხენებზე და ოთხი საათის შემდეგ, პირველ საათზე შევჩერდით და დავბანაკდით. ამ ქარავნის ერთადერთი სიკეთე კვება იყო. თათრები¹³ არაბებივით ძუნწად არ ცხოვრობდნენ: ყოველ საღამოს ცხიმით გემრიელად შეზავებულ საუცხოო ფლავს აკეთებდნენ, ხშირად გამომშრალ ქიშმიშსა და ქლიავსაც კი მოგვართმევდნენ ხოლმე. გარდა ამისა, თითქმის ყოველდღე მოჰქონდათ გასაყიდად შესანიშნავი საზამთრო და ნესვი. გამყიდველები, უმეტესად თათრები, ყოველთვის გამოარჩევდნენ ხოლმე კარგ პატარა ნაჭერს და შემომთავაზებდნენ უსასყიდლოდ.

21 აგვისტო. ისევ არარატის სიახლოვეს ვიმყოფებოდით. ხანდახან რუსულ¹⁴ და გერმანულ კოლონიებს¹⁵ ჩავუვლიდით გვერდით. ამ უკანასკნელის სახლები ისე გამოიყურებოდა, როგორც გერმანულ მთიან სოფლებში. გზა სულ ოღრო-ჩოღრო და ქვიანი იყო. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ ახერხებდა საფოსტო ეტლი აქ გავლას.

დღეს ძალიან არასასიამოვნო თავგადასავალი გადამხდა.

ჩემი ქარავანი სადგურ სიდინის¹⁶ სიახლოვეს იყო დაბანაკებული, საფოსტო გზიდან დაახლოებით ორმოცდაათიოდენაბიჯზე. საღამოს რვა საათისთვის გზამდე გავისეირნე და როცა უკან დაბრუნება მოვინდომე, ფოსტის ცხენების ეჭვნების ხმა შემომესმა. გზაზე შევჩერდი, რათა მგზავრებისთვის თვალი შემეველო. ოთხთვალაში ვიღაც ბატონი იყო, გვერდით კი თოფიანი კაზაკი უჯდა. როცა გვერდით ჩამიარეს, მშვიდად შემოვბრუნდი, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, გავიგონე, როგორ გაჩერდა ოთხთვალა და თითქმის იმწამსვე მკლავში ღონიერი ხელისწავლება ვიგრძენი. კაზაკს ჩემი წათრევა უნდოდა ოთხთვალასკენ. ვეცადე დავსხლტომოდი, თავისუფალი ხელით ქარავანზე

მივუთითე და ვიყვირე, რომ იმ ქარავანს ვეკუთვნოდი. ვაჟბატონმა მეორე ხელი მაშინვე პირზე ამაფარა და ოთხთვალაზე შემაგდო, სადაც იმ კაცმა მაგრად შემბოჭა. კაზაკი ცოცხლად ამოხტა ზევით და მეეტლემ მთელი სისწრაფით გააჭენა ცხენები. ყველაფერი ისე თავლისდახამხამებაში მოხდა, რომ ვერც კი მივხვდი რა შემემთხვა. კაცებს მაგრად ვყავდი შებოჭილი მხრებში. პირზე ხელი მაშინ მომაცილეს, როცა ქარავანს ისეთ მანძილზე დავშორდით, რომ ჩემი ხმა აღარ მისწვდებოდათ.

საბედნიეროდ, შიშს არ შევუპყრივარ - მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს ორივე „თავაზიანი“ რუსი, გამოიჩინეს რა გულმოდგინება და უაღრესად საშიშ პერსონად მიმიჩნიეს, ფიქრობდა ამით კარგი სარგებელი ენახა. როგორც კი პირი გამითავისუფლეს, დაიწყო ჭკვიანური შეკითხვები: ვინა ვარ, სადაური ვარ და ა.შ. ცოტა რუსული კი ვიცოდი, რომ მათთვის ასეთი ცნობები მიმეცა. თუმცა, ეს არ იკმარეს და პასპორტის ნახვა მოითხოვეს. მე ვუთხარი მათ, რომ გაეგზავნათ ვინმე ჩემი ჩემოდნის მოსატანად. აი, მაშინ შევძლებდი მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. როგორც იქნა მივაღ-

წიეთ ფოსტის შენობას, სადაც ერთ პატარა ოთახში შემიყვანეს, თოფიანმა კაზაკმა ღია კართან მოიკალათა, რომ ჩემთვის თვალი არ მოეცილებინა და ის ბატონიც, რომელიც თავისი მუქი მწვანე ხავერდის ყურთმაჯების გამო იმპერიის ჩინოვნიკად მივიჩნიე, რამდენიმე ხანს ოთახში დარჩა. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა საფოსტო განყოფილების უფროსი, თუ ღმერთმა უწყის ვინ იყო, რომ მე ვენახე და ჩემი შემპყრობის საგმირო ამბები მოესმინა. ისინიც ჩქარობდნენ, საკმაოდ დაწვრილებით და სახალისოდ ეამბზნათ მომხდარი.

მთელი ღამე მკაცრი თვალთვალის ქვეშ ხის სკამზე უნდა გამეტარებინა, თან არც საბანი მქონდა, არც პალტო და ამასთან შიმშილი და წყურვილი მაწუხებდა. არც საბანი მომცეს, არც ლუკმა-პური. როგორც კი სკამიდან ავდექი, რომ ოთახში გამევლო და გამომევლო, კაზაკი მაშინვე მეცა, მკლავში ხელი წამავლო და სკამთან მიმაბრუნა, წყნარად იყავიო.

დილისთვის ჩემმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, ჩემი საბუთები ვუჩვენე და გამათავისუფლეს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ასეთი მოპყრობისთვის ბოდიში მოეხდათ, დამცინეს კიდევ. როგორც კი ეზოში გავედი, ყველა ჩემსკენ იმ-

ვერდა ხელს და სიცილში ბანს აძლევდა ჩემს „მოსამართ-
ლეებს“. ო, კეთილო არაბებო, თურქებო, სპარსელებო, ინდუ-
სებო და ყველა, ვინც ხართ, ამის მსგავსი თქვენთან არაფერი
შემმთხვევია! რა მშვენივრად გამოვიარე თქვენი ქვეყნები, რო-
გორ მოწყალედ მომექცნენ სპარსეთის საზღვარზე, როცა ვერ
ვიგებდი პასპორტს რომ მთხოვდნენ და აქ კი, ქრისტიანულ
ქვეყანაში რამდენი წყენა შემხვდა ამ მცირე მანძილზე!

22 აგვისტოს დავუბრუნდი ჩემს ქარავანს, რომელიც დი-
დი თანაგრძნობით შემომეგება.

24 აგვისტო. სადგური ერივანი¹⁷. ბედნიერებას ვგრძნობ-
დი ამ ქალაქში რომ ჩამოვალწიე, რადგან ვიმედოვნებდი, რომ
აქ რამოდენიმე ადგილობრივს შევხვდებოდი და მათი დახმა-
რებით შევძლებდი რაც შეიძლება მალე გავმგზავრებულიყავი
ტიფლისში. ჩემი გადაწყვეტილება, დამეტოვებინა ქარავანი,
მყარი იყო, რადგან დღეში ოთხ საათზე მეტს არ მოძრაობდა.

თან მქონდა ორი წერილი, ერთი ქალაქის ექიმის ბატონ
მიულერის¹⁸, მეორე კი გუბერნატორისთვის. ეს უკანასკნელი
სოფლად იმყოფებოდა. ექიმმა მიულერმა კი ისეთი მზრუნვე-

ლობა გამიწია, რომ უკეთესი დახვედრა ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა.

სომხეთისა, თუ ტრანსკავკასიის დედაქალაქი ერივანი,* მდებარეობს მდინარე ზენგუიზე²⁰, ითვლის 17 000 მაცხოვრებელს, გადაშლილია გორაკებიან პლატოზე, რომელიც ყოველი მხრიდან მთებითა და რამდენიმე ციხე-გალავნით არის შემოზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ, ევროპული არქიტექტურული სტილი სწრაფად იკრებს ძალას, ეს ქალაქი არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება ლამაზ და სუფთა ქალაქების რიცხვს. ყველაზე დიდ სიამოვნებას ბაზარში სეირნობით ვი-

* თქმულება გვიამბობს, რომ მიდამო ერივანის გარშემო სხვა მიდამოებზე ადრე უნდა ყოფილიყო დასახლებული. ნოე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა აქ მსოფლიო წარღვნამდე და მის შემდეგაც. აქ უნდა ყოფილიყო სამოთხეც, ერივანს ადრე თერვა ერქვა და სომხეთის დედაქალაქი იყო. ერივანის ახლოს მდებარეობს სომეხ ქრისტიანთა უდიდესი სალოცავი ეჰმიაძინის მონასტერი¹⁹. ეკლესია უბრალოდ არის მოწყობილი, 73 ფეხის სიმაღლის სვეტები შედგება ერთმანეთზე დალაგებული ქვის გროვებისაგან. საგანძურში ოდესღაც ორი ლურსმანი უნდა ყოფილიყო, რომლებითაც ქრისტე ჯვარზე იყო მილურსმული. გარდა ამისა აქ არის შუბი და ქრისტეს შეუკერავი პერანგი. ეკლესიის შუაგულში, როგორც ირწმუნებიან, უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც ნოეს განთვისუფლების შემდეგ ღმერთისათვის საკურთხეველი უნდა აეშენებინა და შესაწირავი უნდა მიეტანა. იქვე არის ეკლესია, სადაც დღესაც მნიშვნელოვანი რელიქვიებია.

დებდი, არა სავაჭრო დახლების - რომლებიც ვერაფერს მშვენიერს ვერ გვთავაზობდა, არამედ სრულიად განსხვავებული, ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი ჩაცმულობის ცქერით. აქ იყვნენ თათრები, კაზაკები, ჩერქეზები, ქართველები, მეგრელები, თურქმენები, სომხები და ა.შ. უმეტესად ძლიერი აღნაგობის, მშვენიერი შესახედაობის ხალხი ლამაზი, მეტყველი სახის ნაკვთებით, რაც განსაკუთრებით თათრებსა და ჩერქეზებს ეხება. მათი ჩაცმულობა ცოტათი სპარსულს წააგავს, ეს არის რომ, რიგითი სპარსელის ჩაცმულობისგან იგი განსხვავდება წვეტიანი ჩექმებითა და ბევრად დაბალი ქუდით. ჩექმების წვეტი ხშირად ოთხ დუიმს აღწევს და ბოლოში ცოტა შიგნით არის მოკაუჭებული, ქუდიც წვეტიანია, შავი ბეწვისგან შეკერილი, სიმაღლით კი სპარსულის ნახევარი. ამ მოდგმის ქალებს იშვიათად თუ დაინახავთ ქუჩებში, ისიც თავსაფარ-შემოხვეულს, თუმცა სახეს მთლიანად არ იფარავენ.

რუსებსა და კაზაკებს აქვთ კალმიკების მსგავსი უხეში სახის ნაკვთები, მათი საქციელი სრულ შესაბამისობაშია ნაკვთებთან. არც ერთი სხვა ხალხი არ შემხვედრია მათზე უფრო ხარბი, ველური და მონური მიდრეკილებით. როცა რაიმეს შე-

ვეკითხებოდი, ან სულ არ მპასუხობდნენ, ან უხეშად, ან კიდევ გაიცინებდნენ და გზას აგრძელებდნენ. ასეთი მოპყრობა ალბათ ისე თვალშისაცემი არ იქნებოდა, მე რომ ევროპიდან არ ვყოფილიყავი ჩამოსული.

ნაჩივანში უკვე განზრახული მქონდა, რომ რუსული საფოსტო ეტლით მემგზავრა, თუმცა კი ცდილობდნენ გადამეფიქრებინა, მარწმუნებდნენ, რომ მარტოდმარტო ქალი ვერ შევძლებდი ფოსტის „თავაზიან“ პერსონალთან საქმის მოგვარებას. მაგრამ მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მაინც ასე მოვქცეულიყავი და ექიმ მიუღერს ვთხოვე ხელი შეეწყო ჩემთვის.

ძვირფას რუსულ სახელმწიფოში რომ ფოსტის ცხენებით იმგზავრო, ამისათვის ნებართვა უნდა შეიძინო, რომლის მიღებაც მხოლოდ იმ ქალაქშია შესაძლებელი, სადაც სხვადასხვა უწყებებია თავმოყრილი, რადგან ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტის მისაღებად ექვსი საფეხურის გავლაა საჭირო - 1. ხაზინის უფროსი, 2. პოლიცია (ცხადია პასპორტით, ჩამოსვლის ბარათით და ა.შ.), 3. კომენდანტი, 4. ისევ პოლიცია, 5. ისევ ხაზინის უფროსი 6. და ბოლოს ისევ პოლიცია.

მოწმობაში საჭიროა ზუსტად მიეთითოს, სადამდე სურს ადამიანს მგზავრობა, რადგან ფოსტის უფროსი მითითებული სადგურის იქით ერთი ვერსის გავლის უფლებასაც აღარ იძლევა. ამასთან საჭიროა თითოეული ცხენისთვის ყოველ ვერსზე ნახევარი კაპიკის (1/2 კროიცერი) გადახდა. ერთი შეხედვით ბევრი არ ჩანს, მაგრამ სერიოზული ფასია, თუკი დაფიქრდები იმაზე, რომ შვიდი ვერსი ერთ გეოგრაფიულ მილს შეადგენს და სულერთავად სამი ცხენით მგზავრობ.

26 აგვისტო. დილის ოთხ საათზე ფოსტის ეტლი სახლ-თან უნდა ყოფილიყო, თუმცა ექვსმა დარეკა და ის კიდევ არ ჩანდა. ექიმ მიულერს რომ სიკეთე არ გამოეჩინა და თავად არ წასულიყო, ალბათ სადამოს თუ მოვიდოდა. შვიდ საათზე გავუდექი გზას, შესანიშნავი წინათგრძნობა მქონდა მგზავრობასთან დაკავშირებით.

ახლა, რა თქმა უნდა, სწრაფად ვმგზავრობდით, მაგრამ თუ რკინის, ან რბილად გადაკრული ეტლში არ ზიხარ, ეს სისწრაფე დიდ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებს და, ცხადია, გირჩევნია ოღრო-ჩოღრო, ცუდ გზაზე უფრო ნელა იარო.

საფოსტო ეტლი, რომელშიც ყოველი სადგურისთვის ათ კაპიკს იხდიან, მეტი არაფერია, თუ არა ხის მოკლე, გადაუხურავი ოთხთვალა. დასაჯდომი ადგილის მაგივრად დაგებულია ცოტა თივა და სწორედ იმდენი ადგილი გაქვს, რომ პატარა ჩემოდანი დადო, რომელზეც ფოსტალიონი ჯდება. ეს ოთხთვალა გემრიელად გაჯაყჯაყებს, ამასთან დასაყრდენიც არ გაქვს, ასე რომ ძალიან ფრთხილად უნდა იყო, ძირს რომ არ მოადინო ზღართანი. ოთხთვალაში სამი ცხენია გვერდი-გვერდ შებმული. შუა ცხენს თავს ზემოთ ხის რკალი აქვს. მასზე ორი ან სამი ეჟვანი ჰკიდია, რომლებიც დროთა განმავლობაში ჯოჯოხეთურ ხმაურს გამოსცემენ. ამასთან წარმოიდგინეთ ეტლის ჭრიალი, მეეტლეს ყვირილი, რომელიც გამუდმებით იმის მცდელობაშია, რომ საბრალო ცხენები წინ გაირეკოს და გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ სულ უფრო ხშირად ეტლი სადგურზე მგზავრების გარეშე შემოდის. ბედშავი მგზავრის ყვირილი მეეტლის ყურს ვერ სწვდება. სადგურებს შორის მანძილი სხვადასხვაა, თოთხმეტიდან ოცდაათ ვერსამდე მერყეობს. მეორე და მესამე სადგურებს შორის ძალიან მოკლე მანძილი გავიარე, იქ რაღაც სახის ლავა ვნახე, რო-

მელიც ძალიან წააგავდა ისლანდიურ პრიალა შუშისებურ ლავას (შავი აქატი, ოფსიდიანსაც რომ უწოდებენ) და რომლის შესახებაც ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ისლანდიაში მოიპოვებაო. მესამე სადგურს მივყავდით ახალაშენებულ რუსულ სოფელში, რომელიც ლიმანის ტბასთან²¹ იყო გადაშლილი.

